საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №541

1998 წლის 1 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ნავსადგურებში სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს საქართველოს ნავსადგურებში სასაზღვრო სამსახურის შესრულების თანდართული წესი.

2. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. ჩხეიძე) უზრუნველყოს აღნიშნული წესის შესრულება.

ე. შევარდნაძე

საქართველოს ნავსადგურებში სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესი

1. საერთაშორისო ნაოსნობისთვის განკუთვნილი უცხოეთისა და საქართველოს გემების სასაზღვრო კონტროლი ხორციელდება მისადგომთან ან საჭიროების შემთხვევაში რეიდზე. საზღვარგარეთიდან მომავალი სამგზავრო გემების სასაზღვრო კონტროლი შეიძლება მოხდეს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში (ტერიტორიულ ზღვაში), სანამ გემები ნავსადგურში შევლენ. ასეთ შემთხვევაში ტერიტორიული წყლების დათქმულ ადგილას ან საქართველოს შიდა წყლებში გემებს უნდა დახვდეს კომისია.

2. გემის ნავსადგურში შემოსვლისას (რეიდზე ან ნავსადგურში) სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო განყოფილების ექიმი მესაზღვრეებთან ერთად ადის გემზე, სადაც ამოწმებს გემის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას და ეცნობა საერთაშორისო საზღვაო დეკლარაციას, მოწმობას დერატიზაციის მოხდენის ან მისგან გათავისუფლების შესახებ, იღებს ლაბორატორიული კვლევისათვის საჭირო ანალიზებს.

ყველა გემი, რომელიც შედის ნავსადგურში საზღვარგარეთიდან, უნდა შეამოწმოს სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო სამსახურმა. ამ შემოწმების დამთავრებამდე არავინ, გარდა ლოცმანისა, არ უნდა ავიდეს გემზე და არ ჩამოვიდეს გემიდან.

თითოეული გემი, რომელიც შემოდის ნავსადგურში საზღვარგარეთიდან, აღმართავს საკარანტინო ალამს სიგნალების საერთაშორისო წესის მიხედვით და რჩება საკარანტინო ალმით, სანამ არ მიეცემა თავისუფალი პრაქტიკის ნება.

სამედიცინო პერსონალს, რომელიც ახორციელებს სანიტარიულ შემოწმებას, აქვს თავისუფალი შესვლის უფლება სატრანსპორტო საშუალებაზე, ასევე ყველა შენობაში, სადაც შეიძლება იყვნენ ეკიპაჟის წევრები და მგზავრები. სანიტარიული შემოწმების შემდეგ სატრანსპორტო საშუალებას ეძლევა ნავსადგურთან თავისუფალი ურთიერთობის უფლება.

ყველა ორგანო, რომელიც ახორციელებს ცალკეული პირების სატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთის კონტროლს, ხელს უწყობს სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო სამსახურს შემოწმების განხორციელებას საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში ინფექციით დაავადებულ პირთა გამოვლენაში.

ნავსადგურში შემოსული ყველა გემი, რომელიც არ ემორჩილება სანიტარიულ-საკარანტინო სამსახურის მოთხოვნებს, შეიძლება გაიშვას ზღვაში, ხოლო ტვირთის გადმოტვირთვა და მგზავრების გადმოსვლა შეიძლება იმ პირობით, თუ ჩაუტარდათ სანიტარიული ღონისძიებები. გემი ასევე შეიძლება დარჩეს იზოლირებული, მიიღოს წყალი, საწვავი, კვების პროდუქტები.

იმ შემთხვევაში, თუ გემი არაკეთილსაიმედოა (ეკიპაჟი, მგზავრები) სანიტარიულ-ეპიდემიური თვალსაზრისით (გემზე ავადმყოფის ან ავადმყოფობაზე საეჭვო პირის არსებობა), ექიმი იღებს გადაწყვეტილებას (დაავადების სახეობის გათვალისწინებით) გემის რეიდზე გადაყვანის შესახებ.

გემის გასვლის გაფორმებისას აუცილებელია მას ჰქონდეს სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობის სამსახურის ნებართვა გემის ნავსადგურიდან გასვლაზე, 24-საათიანი ვადით.

საქართველოში შემოსვლისას (სასაზღვრო ზონაში) და გასვლისას (საბაჟო ზონაში) სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო სამსახური ამოწმებს ეკიპაჟის წევრთა და მგზავრთა პროფილაქტიკური აცრებისა და სავალდებულო გამოკვლევების (შიდსი) ჩატარებას (არაკეთილსაიმედო ქვეყნების ჩამონათვალის და უცხო სახელმწიფოებთან შემოწმებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით).

3. სააგენტო ფირმამ უცხოეთისა და საქართველოს სანაოსნოს კუთვნილი საერთაშორისო ნაოსნობის გემების საქართველოს ნავსადგურში შემოსვლა საკონტროლო-გამტარ პუნქტს უნდა შეატყობინოს 72 (სამოცდათორმეტი) საათით ადრე და აუცილებლად დაადასტუროს 48 (ორმოცდარვა) და 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე, ხოლო გემის ნავსადგურში შესვლამდე არა უგვიანეს 2 (ორი) საათისა საკონტროლო-გამტარი პუნქტის მორიგეს წარუდგინოს გემის ეკიპაჟის განრიგი დადგენილი წესით და ოფიციალური შეკვეთა კომისიის დაწყებაზე (თუ გემს ტექნიკური მიზეზების გამო არ შეუძლია წარმოადგინოს დადგენილი წესით ეკიპაჟის განრიგი, გამონაკლისის სახით დასაშვებია აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა კომისიის მოწყობისას).

4. საერთაშორისო რეისზე გემის გასვლის გაფორმების დაწყებამდე 2 (ორი) საათით ადრე სააგენტო ატყობინებს საკონტროლო-გამტარ პუნქტს გემის ნავსადგურიდან გასვლის დროს.

5. გემის გასვლის გაფორმების შემდეგ განაცხადი გადაეცემა სასაზღვრო სამსახურის მორიგეს.

6. სააგენტო უზრუნველყოფს კომისიის წევრთა გემზე მიყვანას მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად და უკან დაბრუნებას.

7. საზღვარგარეთ მიმავალი გემების სასაზღვრო კონტროლის დაწყებამდე მასზე არ უნდა იმყოფებოდნენ უცხო პირები, დამთავრებული უნდა იყოს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები და ეკიპაჟის ყველა წევრი იმყოფებოდეს გემბანზე.

8. უცხოეთისა და საქართველოს კუთვნილ საერთაშორისო ნაოსნობის გემზე სასაზღვრო კონტროლის დროს უცხო პირთა დაშვება შეიძლება მხოლოდ სასაზღვრო განწესის (ოფიცრის) ნებართვით. ნავსადგურის ადმინისტრაციის ნებართვისა და საკონტროლო-გამტარი პუნქტის თანხმობის გარეშე, უცხოეთის გემებს ეკრძალებათ სადგომის შეცვლა ნავსადგურში და რეიდზე, აგრეთვე ადამიანების აყვანა და გადაყვანა, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულება, ავარიისა და უბედური შემთხვევის გარდა. საკონტროლო-გამტარი პუნქტის ნებართვის გარეშე აკრძალულია უცხოეთის გემებთან მისვლა ნავსადგურში, რეიდზე, ბუქსირზე დგომის დროს, ამწეებთან, კატარღებთან და სხვა მცურავ საშუალებებთან.

9. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების წარმომადგენლები და ნავსადგურის მუშაკები, საზღვარგარეთის იმ გემების მოსამსახურეები, რომლებიც დგანან ნავსადგურის გემმისადგომებთან, გემზე დაიშვებიან საკონტროლო-გამტარი პუნქტის საშვებით, ამასთან, დოკერ-მექანიკოსები საზღვარგარეთის გემზე დაიშვებიან მხოლოდ ბრიგადის შემადგენლობაში ამ გემზე სამუშაოების შემსრულებელი განწესის არსებობისას.

10. საკონტროლო-გამტარი პუნქტი საშვს გასცემს დაინტერესებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე ერთ წლამდე ვადით. საჭიროებისას შეიძლება გაცემულ იქნეს ერთჯერადი საშვი. მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ საშვი უკან უნდა დაბრუნდეს.

11. სანაოსნოს, საბაჟოს, ნავსადგურის უფროსებსა და მათ მოადგილეებს უფლება აქვთ ავიდნენ ნავსადგურში მდგომ საზღვარგარეთის გემზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს საშვის გარეშე თავიანთი სამსახურებრივი დოკუმენტებით.

12. უცხოეთის გემის ეკიპაჟის წევრები, რომლებიც შეტანილი არიან ეკიპაჟის განრიგში, შეიძლება ნავსადგურის ტერიტორიაზე გადაადგილდნენ პასპორტებით ან პირადობის მოწმობით, ხოლო ნავსადგურის ტერიტორიის გარეთ – მხოლოდ პასპორტით, ნავსადგურის მთავარი გასასვლელიდან №1 საკონტროლო-გამტარი პუნქტის მეშვეობით.

13. უცხოეთის გემის ეკიპაჟის წევრებს, რომლებიც შეტანილი არიან ეკიპაჟის განრიგში, უფლება აქვთ ნავსადგურის ტერიტორიაზე და ქალაქში გადაადგილდნენ დღე-ღამის ნებისმიერ დროს.

14. სასაზღვრო კონტროლის განყოფილება ნაპირზე გადასვლას და ნაპირზე ყოფნას უკრძალავს საზღვარგარეთის გემის ეკიპაჟის იმ წევრებს, რომლებმაც ტერიტორიულ წყლებში (ზღვაში) და საქართველოს შიდა წყლებში ყოფნისას, საქართველოს ნავსადგურში დგომისას ჩაიდინეს სამართალდარღვევა, აგრეთვე პირებს, რომლებსაც დადგენილი წესის მიხედვით აკრძალული აქვთ საქართველოში შესვლა. საზღვარგარეთელ მეზღვაურთაგან სამართალდარღვევის, აგრეთვე ნავსადგურში უცხოური გემების მიერ ცურვის რეჟიმის დარღვევის ყველა შემთხვევას საკონტროლო-გამტარი პუნქტი წერილობით აცნობებს საზღვაო სააგენტოებს შესაბამისი ზომების მისაღებად.

15. უცხოური გემების ეკიპაჟის წევრებისადმი, რომლებიც ხულიგნურ, პროვოკაციულ და სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ჩადიან სასაზღვრო განწესის მიმართ, საკონტროლო-გამტარი პუნქტის უფროსი საქართველოს უშიშროების სამსახურთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებთან და სააგენტოებთან ერთად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს საჭირო ზომებს.

16. გემზე ასვლისას ამ პირებს საშვს ჩამოართმევს სასაზღვრო განწესი.

17. გემზე უცხოელი მეზღვაურების მონახულება მათი ნათესავების მიერ ხდება ისეთივე წესით და ხორციელდება იმავე დოკუმენტებით, რომლებითაც ისინი შემოვიდნენ და ცხოვრობენ საქართველოში.

18. გემის კაპიტნებს სხვა ქვეყნის გემზე ასვლა შეუძლიათ თავიანთი პირადობის მოწმობით ან მეზღვაურის პასპორტით.

19. უცხოელ მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც ნავსადგურში უცხოური გემით შემოდიან და აქვთ ვადაგასული საბუთები ან არ გააჩნიათ საქართველოში შემოსვლისთვის საჭირო საბუთები, არ ეძლევათ ნაპირზე ჩამოსვლის ნება.

20. უცხოური გემის ეკიპაჟის წევრებს კაპიტნის თხოვნით საკონტროლო-გამტარი პუნქტის უფროსი ნებას რთავს გავიდნენ საქართველოდან მეზღვაურის პასპორტით ან პირადობის მოწმობით სხვა გემით, რომელიც გადის იმავე ნავსადგურიდან. სხვა ნავსადგურებიდან თანამგზავრი გემებით ან სხვა სახის ტრანსპორტით გასვლისას უცხოელ მეზღვაურებს უნდა ჰქონდეთ ვიზა, რასაც ის ორგანიზაციები, რომლებიც აგენტირებას უწევენ გემს, წერილობით ატყობინებენ საკონტროლო-გამტარ პუნქტს გასვლამდე ერთი დღე-ღამით ადრე. ასეთივე წესით ხდება ნავსადგურში რეიდზე მდგომი უცხოური გემების ეკიპაჟის შეცვლა.

21. საქართველოს კუთვნილი საერთაშორისო მიმოსვლის გემების კაპიტნები „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ კანონის შესაბამისად პერსონალურად აგებენ პასუხს გემზე იმ პირების უკანონოდ ყოფნისათვის, რომლებიც არ შედიან ეკიპაჟის შემადგენლობაში და არ არიან მისი მგზავრები, ისინი ვალდებული არიან მიიღონ საჭირო ზომები, რათა საერთაშორისო მიმოსვლის გემებზე არ დაუშვან უცხო პირები.

22. საქართველოს კუთვნილი საერთაშორისო მიმოსვლის გემებზე კონტროლს იმ პირების მონახულებისადმი, რომლებიც არ არიან ეკიპაჟის წევრები, ახორციელებს სავახტო სამსახური. გუშაგი-მეზღვაური კაპიტნის გუშაგ-თანაშემწის ნებართვით გემზე ასეთ პირს უშვებს დოკუმენტებით, პირადობის მოწმობებით, რომლებსაც იტოვებს კონტროლისათვის.

23. საქართველოს კუთვნილი გემებით უცხო პირთა საზღვარგარეთ უკანონოდ გასვლის და საზღვარგარეთიდან უკანონო შემოსვლის თავიდან აცილების მიზნით გემის კაპიტანი ვალდებულია ეკიპაჟის წევრების მეშვეობით ორგანიზაცია გაუწიოს გემის ყველა ნაწილის გულმოდგინე დათვალიერებას. გემის ნავსადგურში შემოსვლა და ნავსადგურიდან გასვლა რეისში ხორციელდება გემის შემოწმების დამთავრების შემდეგ, თუ კაპიტანი პირადად დარწმუნდება, რომ გემზე უცხო პირი არ იმყოფება.

24. კაპიტნის განკარგულებით გემზე მიმაგრებული ეკიპაჟის კონკრეტული წევრები ინიშნებიან შემოწმებისათვის პასუხისმგებლებად.

25. შემოწმება აუცილებლად უნდა მოხდეს უშუალოდ საქართველოს ნავსადგურიდან საზღვარგარეთ რეისში გასვლამდე და უცხოურ ნავსადგურში შესვლამდე.

26. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს გემის დამატებითი შემოწმება სასაზღვრო განწესის მიერ ეკიპაჟის წევრებთან ერთად.

27. აკრძალულია პირადი სარგებლობის მცურავ საშუალებათა დგომა ნავსადგურის აკვატორიის სარეჟიმო ნაწილში.

28. სასაზღვრო კონტროლი უცხო ქვეყნისა და საქართველოს კუთვნილი გემებისა, რომლებიც გადიან საქართველოს სხვა ნავსადგურისაკენ, ხორციელდება ისეთივე წესით, როგორც კაბოტაჟური ცურვის დროს. მათი გაშვება ნავსადგურიდან ხდება საკონტროლო-გამტარი პუნქტის სასაზღვრო განწესის მეშვეობით. ორგანიზაციები, რომლებიც ახდენენ აგენტირებას, გასვლის დროს ატყობინებენ საკონტროლო-გამტარი პუნქტის სამორიგეო სამსახურს გემის გეგმით გათვალისწინებულ გასვლამდე არა უგვიანეს 2 (ორი) საათით ადრე.